TBILISI MEDICAL ACADEMY
MEDICINE STARTS HERE

დამტკიცებულია რექტორის 2022 წლის N95 ბრძანებით

მრჩეველთა საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევნების დებულება

პრეამბულა

თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს თსა-ს რექტორატის მთავარ საკონსულტაციო ორგანოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ურთიერთობების მიმართულებებით ინსტიტუციური პოლიტიკის, სტრატეგიული განვითარების ხედვის, სამოქმედო გეგმებისა და რეფორმების შემუშავებისა და ზედამხედველობის პროცესში. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები სამედიცინო განათლების, კლინიკური მედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფინანსური მართვის, კომუნიკაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებით.

თსა-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა ასევე ითვალისწინებს სტუდენტთა 4 წარმომადგენლის მონაწილეობას არჩევნების გზით, მათ შორის, 2 სტუდენტის საბაზისო და 2 სტუდენტის კლინიკური საფეხურებიდან. ამასთან, არჩეული სტუდენტები თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი აკადემიის როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი პროგრამებიდან. არჩევნები უნდა ჩატარდეს ორ წელიწადში ერთხელ და სტუდენტთა წარმომადგენლები აირჩევიან 24 თვის ვადით.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის ჩანიშვნის შესახებ, მრჩეველთა საბჭო ინფორმაციას აწვდის ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს მრჩეველთა საბჭოს წევრი სტუდენტების ინფოირმირებას აღნიშნულის თაობაზე.

მუხლი 1. მრჩეველთა საბჭოს წევრი სტუდენტების მოვალეობები

1.1 დაესწრონ საბჭოს სხდომებს და გააჟღერონ სტუდენტთა შეხედულებები აკადემიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე სწავლების, კვლევის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სოციალური პროგრამების მიმართულებით.

1.2 მონაწილეობა მიიღონ თსა-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ზედამხედველობაში.

1.3 თსა-ს სასწავლო, კვლევითი, ინსტიტუციური და სოციალური პრიორიტეტების შესაბამისად, მრჩეველთა საბჭოს წარუდგინონ სტუდენტთა ინიციატივები.

1.4 მრჩეველთა საბჭოს არჩევნები უნდა ჩატარდეს ორ წელიწადში ერთხელ. არჩეული სტუდენტები პოზიციას იკავებენ ორი წლის ვადით. ერთი და იმავე სტუდენტის ზედიზედ ოთხი წლის ვადით არჩევა დაუშვებელია.

მუხლი 2. მრჩეველთა საბჭოში სტუდენტური წარმომადგენლობა უზრუნველყოფს

2.1 თბილისის სამედიცინო აკადემიის მისიის, კერძოდ, სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსა და კულტურის გაძლიერებას და სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაზრდას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.

2.2 თსა-ს სტუდენტთა ხელშეწყობას მათი მოსაზრებებისა და ინიციატივების მრჩეველთა საბჭოსთან მიწოდებასა და გაზიარებაში.

2.3 საბჭოს წევრ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ და განივითარონ საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარები, ლიდერობის გამოცდილება, პრობლემის გადაჭრის, ორგანიზაციული და პრეზენტაციის უნარები. აღნიშნული გამოცდილება მნიშვნელოვნად გაამდიდრებს კომიტეტის წევრი სტუდენტის პორტფოლიოს.

მუხლი 3. მრჩეველთა საბჭოს წევრი სტუდენტების უპირატესობები

3.1 არჩეულ სტუდენტებს 2 წლის განმავლობაში შესაძლებლობა ექნებათ, შეიძინონ მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება მრჩეველთა საბჭოს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან მუშაობის პროცესში.

3.2 შესაბამისი სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისა და 24 თვიან პერიოდში მრჩეველთა საბჭოს დავალებების შესრულების შემთხვევაში, საბჭოს თითოეულ სტუდენტ-წევრს გადაეცემათ სპეციალური სერტიფიკატი და სარეკომენდაციო წერილი.

მუხლი 4. კანდიდატის მიმართ დადგენილი კრიტერიუმები

4.1 მრჩეველთა საბჭოს არჩევნებზე, კანდიდატურის წარმდგენი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

4.1.1 სტუდენტის აკადემიური მოსწრება GPA არ უნდა იყოს 3.0-ზე ნაკლები.

4.1.2 კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს დისციპლინური გადაცდომის ისტორია (დისციპლინური გადაცდომის ისტორია ავტომატურად გამოიწვევს კანდიდატის დისკვალიფიკაციას).

4.1.3 კანდიდატი არ უნდა იყოს გამოვლენილი ბულინგში ან სხვა სახის არაეთიკურ ქცევაში.

მუხლი 5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

5.1 თითოეულმა კანდიდატმა, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებს, უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

5.1.1 რეზიუმე ან დეტალური CV ფოტოსურათით. რეზიუმე/CV უნდა მოიცავდეს სტუდენტის ინტერესებისა და მისწრაფებების აღწერას (არაუმეტეს 300 სიტყვისა).

5.1.2 საბაზისო საფეხურიდან არჩეულ სტუდენტებს (I-VI სემესტრი) მოეთხოვებათ თსა-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით ან სოციალურ პროექტში მონაწილეობის

დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. უცხოეთში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება სასურველია.

5.1.3 კლინიკური საფეხურიდან არჩეულ სტუდენტებს (VII-XII სემესტრი) მოეთხოვებათ თსა-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით ან სოციალურ პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და უცხოეთში გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

5.1.4 აკადემია უფლებამოსილია თავად განსაზღვროს წარმოსადგენ დოკუმენტაციათა თანმიმდევრობა.

მუხლი 6. რეგისტრაცია

6.1 არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, კანდიდატები რეგისტრირდებიან შემდეგ ბმულზე - https://forms.gle/Es5e3CTxJnczNUcM7

6.2 ვადაგადაცილებით შემოსული განაცხადები არ განიხილება.

6.3 რეგისტრაციის ვადის ამოწურვის მომენტისათვის არასრულად წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმის შემთხვევაში, კანდიდატი მოიხსნება არჩევნებიდან.

მუხლი 7. არჩევნები

7.1 არჩევნები ჩატარდება ელექტრონულად, Google Forms-ის მეშვეობით. ხმის მიცემის უფლება ექნებათ სტუდენტებს მხოლოდ თსა-ს ელ-ფოსტის გამოყენებით.

7.2 გამარჯვებულები იქნებიან ის სტუდენტები, რომელთაც ექნებათ მოპოვებული ყველაზე მეტი ხმა.

7.3 არჩევნებზე მიღებული შედეგები ჩაითვლება ვალიდურად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს თსა-ს სტუდენტების არანაკლებ 10%.

7.4 ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტი, ელექტრონული პლათფორმების მეშვეობით გამოაქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას, რომელიც ეხება არჩევნების გამოცხადებას.